უთხარი, ვისაც ენდობი

ისარგებლე ლანსაროტის კონვენციით დაცული უფლებებით

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭოს ვიდეო - „უთხარი, ვისაც ენდობი“ - ყურადღებას ამახვილებს სექსუალურ ძალადობაზე, რომელიც ხდება ახლო წრეში, ასევე, ერთ-ერთი ჩვენი დოკუმენტის, ლანსაროტის კონვენციის ძირითად გზავნილებზე. ვიდეო 9-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვებს საშუალებას აძლევს, ერთი გოგონას ისტორიიდან გაიგონ, რა არის სექსუალური ძალადობა და როგორ შეიძლება ბავშვის დაცვა მისგან.

ევროპის საბჭოს სურს, ბავშვები დაიცვას ძალადობისგან, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობისა და იძულებისგან. ლანსაროტის კონვენცია სწორედ ამ ფორმებზე ამახვილებს ყურადღებას. ბავშვებს უნდა ესმოდეთ კონვენციის ძირითადი გზავნილები, ასევე, რას აკეთებს დოკუმენტი მათთვის. ამ მიზნებს ემსახურება ვიდეო „უთხარი ვისაც ენდობი“, რომელიც მომზადდა ბავშვების ჯგუფთან ერთად. ბუკლეტში განმარტებულია ვიდეოში წარმოდგენილი ძირითადი გზავნილები.



ყველა ბავშვს აქვს უფლება, თავს გრძნობდეს
უსაფრთხოდ და იყოს დაცული
სექსუალური ძალადობისგან...

...მაგრამ ზოგიერთი
ადამიანი
შეიძლება
საშიში იყოს
ბავშვებისთვის და
სურდეს მათთვის
ზიანის მიყენება.

როდესაც ამას წაიკითხავ, შეიძლება
ცოტა შეშინდე, ან უხერხულად იგრძნო
თავი. გთხოვ, განაგრძე კითხვა, რადგან
ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი
ადამიანები
ყოველთვის დამნაშავეები არიან.



ზოგ ადამიანს სურს ბავშვის სხეულის ნაწილების გამოყენება სექსუალური სიამოვნების მისაღებად. ამას ეწოდება სექსუალური ძალადობა.

ყოველთვის არასწორია, თუ ვინმე გთხოვს ან გაიძულებს, შეეხო შენი ან მისი სხეულის ინტიმურ ნაწილებს, რომლებიც დაფარული უნდა იყოს საცვლებით.

ზოგ ადამიანს სურს ბავშვის სექსუალური გზით გამოყენება, რათა მიიღოს მატერიალური სარგებელი. ამას ეწოდება სექსუალური ექსპლუატაცია.

ყოველთვის არასწორია, თუ უფროსი ადამიანი გემუქრება, ან გაძლევს ფულს, ალკოჰოლსა და საჩუქრებს, რათა სანაცვლოდ ისარგებლოს შენი სხეულით, ანდა გაგაკეთებინოს ისეთი რამ, რის გამოც დაღონდები, უხერხულობას იგრძნობ, ან შეგრცხვება.

ასევე არასწორია, თუ ვინმე გთხოვს ან გაიძულებს, უყურო ფილმს ან გამოსახულებას, სადაც ადამიანები დაკავებულნი არიან სექსუალური ურთიერთობით; ანდა ონლაინ გთხოვს ან გაიძულებს ისეთი ფოტოების გაგზავნას, რომელთა გამოც თავს უხერხულად იგრძნობ, შეშინდები ან მოიწყენ.



უცხოებმა თვითონაც არ უნდა გამოგიგზავნონ საკუთარი ფოტოები, ან სხეულის ინტიმური ნაწილების ამსახველი სურათები, მაგალითად, რომლებზეც შიშვლები არიან.

გახსოვდეს: ამაში დამნაშავეები უფროსები არიან
და არა შენ!



შენს ქვეყანას სურს, ყველა ბავშვი დაცული იყოს სექსუალური ძალადობისგან.

იმისათვის, რომ თავი იგრძნო უსაფრთხოდ და სექსუალური ძალადობისგან დაცულად, შენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი დაპირებები ასახა დოკუმენტში, რომელსაც ჰქვია ლანსაროტის კონვენცია.

სხვათა შორის, ლანსაროტი კუნძულია ესპანეთში, სადაც ქვეყნებმა ეს დაპირებები მისცეს ბავშვებს.

აი, რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირება:

1. ბავშვებს, რომლებიც დახმარებას ეძებენ, აუცილებლად სერიოზულად მოეკიდებიან და მოუსმენენ.

2. უფროსებს, რომლებიც სექსუალურად ძალადობენ ბავშვებზე, ან სექსუალურ ექსპლუატაციას უწევენ მათ, შეაჩერებენ.

3. ბავშვებს, რომლებიც გახდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, პრობლემის გადალახვაში დაეხმარება პოლიცია, სოციალური მუშაკი და ექიმი. ისინი შენც აუცილებლად დაგეხმარებიან.

თუ საფრთხეში ხარ, ან იცი, რომ შენი ნაცნობია საფრთხეში, უთხარი ამის შესახებ მას, ვისაც ენდობი და შეუძლია დახმარება.

თუ ზუსტად არ იცი, როგორ მოიქცე, დარეკე შენი ქვეყნის დახმარების ხაზზე.

112 - შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი

111 - ბავშვთა ცხელი ხაზი

© Council of Europe, 2015 English publication; © Council of Europe, 2018 Georgian version
All rights reserved

ევროპის საბჭო ევროპული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 46 ქვეყანას და დაფუძნებულია სტრასბურგში, საფრანგეთში. მისი შექმნის მიზანია, ყველა ამ ქვეყანამ დაიცვას ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებების ჩათვლით, ნებისმიერი სახის ძალადობის პრევენციით.

ევროპის საბჭოსთვის მნიშვნელოვანია, ბავშვებს მისცეს აზრის გამოთქმის უფლება, როცა მზადდება მათთან დაკავშირებული დოკუმენტები. ვიდეორგოლი „უთხარი, ვისაც ენდობი“ და ეს ბუკლეტი შეიქმნა ბავშვებთან თანამშრომლობით. ბავშვებისა და ახალგაზრდების ორი ჯგუფი გააერთიანა Queen's University-ს ბავშვთა უფლებების ცენტრმა (ბელფასტი, ჩრდილოეთ ირლანდია). მათ ბევრი იმრომეს ვიდეოს მოსამზადებლად და ერთად გადაწყვიტეს, რა უნდა განემარტათ შენთვის ამ ბუკლეტში. ევროპის საბჭოს სურს, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადოს ანა ს.-ს, ანა მ.-ს, კაომ დ.-ს, ქლოეს, ელენს, ეოინს, ჯორჯიას, ლეას, ლევინს, ნიამს, ოლივერს, ფილიპსა და ჰიტერს - ისინი 46 ქვეყნის ბავშვებს დაეხმარნენ საკუთარი უფლებების უკეთ გაგებაში, ასევე, სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავის დაცვაში. მადლობა ბრიკვოლის (Brickwall) ანიმატორებსაც ბავშვების სურვილების ახდენისთვის.

ასევე მადლიერებას გამოვხატავთ ლაურა ლუნდისა და მიშელ ტემპლტონის მიმართ, რომელთა ცოდნამ და გამოცდილებამ ბავშვთა უფლებების სფეროში, ჩართულობასთან ერთად, პროექტი უნიკალურად აქცია.

ევროპის საბჭო მადლობას უხდის ლუქსემბურგის მთავრობასაც ამ მასალების შემუშავებაში მხარდაჭერისთვის.

- იხილეთ ვიდეო „უთხარი, ვისაც ენდობი“, და გაიგე მეტი შენი უფლებების შესახებ აქ: **www.coe.int/children**
- დაგვიკავშირდი ელექტრონული ფოსტით **lanzarote.committee@coe.int**

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაციაა კონტინენტზე. იგი შედგება 46 წევრი სახელმწიფოსგან, რომელთაგან 27 ევროპის კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

Brickwall

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE